პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 201 (5491)

1975 წ. 9 ოქტომბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მთამსვლელთა უჩვეულო ლაშქრობა

დარიალის ხეობაში გადაუღებლად წვიმდა. მთიდან ბოროტად ეშვებოდა ნიაღვრები, რომელთაც კლდის უზარმაზარი ლოდები მოჰქონდათ გრუხუნით. საქართველოს სამხედრო გზა დაზიანდა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ყაზბეგიდან ორჯონიკიძისკენ მიმავალი გზის მეხუთე კილომეტრზე, სადაც ნიაღვრები პიტალო კლდეების ნაპრალებში ჩავიდა და მთის მასივს ვეებერთელა ნაწილები მოწყვიტა. გზა დაიკეტა, მოძრაობა შეჩერდა.

თუ წარმოიდგენთ კლდის უზარმაზარ ნაგლეჯს, რომელიც თერგის კალაპოტში ჩავარდა და მდინარეს მიმართულება შეუცვალა, გასაგები გახდება, თუ რა მძიმე მდგომარეობა იქნებოდა იქ. გზის გასაწმენდად ერთობ სახიფათო იყო ტრაქტორების, ექსკავატორების მისვლა, ვინაიდან ვერტიკალური კლდოვანი ბასტიონებიდან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო გადმოკიდებული კლდის ჩამოვარდნა.

საბედნიეროდ, იქვე, ხდის ხეობაში, საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელები სალაშქროდ ემზადებოდნენ. მათ ეს ამბავი გაიგეს და უმალვე სახიფათო ადგილს მიაშურეს. 4-6 ოქტომბერს თავდაუზოგავად მუშაობდნენ მთამსვლელები მ. თექთუმანიძე, ვ. სხირტლაძე, თ. ახალბედაშვილი, ლ. ქუთარაშვილი და საქართველოს ალპური კლუბის სამაშველო სამსახურის ყაზბეგელი ინსტრუქტორი ბ. წიკლაური. მათ ხელმძღვანელობას უწევდა ამავე კლუბის დირექტორი, წარსულში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მთამსვლელი დ. ობოლაძე. მათ ლამის მთელი მთამსვლური ტექნიკის გამოყენება დასჭირდათ მუშაობისას: როგორც ნამდვილი ლაშქრობის დროს, ისინი კლდეში პალოებს ასობდნენ, თოკში ჩაბმულნი მაღლა მიიწევდნენ, ერთმანეთს პორტატული რადიოგადამცემებით უკავშირდებოდნენ... ამ „ლაშქრობაში“ მხოლოდ ერთი რამ იყო არა მთამსვლური — დინამიტი, ისინი კლდეში ამ ნივთიერებას აწყობდნენ და აფეთქებდნენ ჩამოსაქცევად საშიშ უბნებს.

სტიქიასთან ბრძოლაში მთამსვლელებმა იმარჯვეს. გზა გაიხსნა!

ა. გურასაშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

დარიალის ხეობა.

ევროპის საუკეთესო გუნდი

ბონი, 7 ოქტომბერი. (საქდესი). „კიევის „დინამო“ საუკეთესოა ევროპის საკლუბო გუნდებს შორის, ხოლო ამ გუნდის თავდამსხმელს ო. ბლოხინს, საეჭვოა, ამჟამად რომელიმე ფეხბურთელმა აჯობოს მსოფლიოში“, — ასე ასკვნის ბონის გაზეთ „გენერალ-ანცაიგერის“ კომენტატორი კიევის „დინამოსა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის სუპერთასის ფინალური მატჩის შემდეგ.

იგი ხაზგასმით აღნიშნავს „საბჭოთა გუნდის უდავო სათამაშო უპირატესობას“ როგორც მიუნხენის სტადიონზე, ასევე კიევის მატჩში.

„ვესტფალიშე რუნდშაუ“ აღნიშნავს, რომ „კიევში სასწაული არ მომხდარა“, იმარჯვა გუნდმა, რომელიც ორივე შეხვედრაში უკეთესი იყო.

გაზეთის აზრით, „უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, კიევის ცენტრალური სტადიონის საფეხბურთო მოედანზე ბატონობდა საბჭოთა გუნდი, რომლის დაწოლა თანდათან მატულობდა“. წერილის ავტორი ამბობს, რომ საბჭოთა გუნდის ნახევარდაცვისა და ისეთი თავდამსხმელების წინაშე, როგორიც არიან ბლოხინი და ონიშჩენკო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უძლიერესი კლუბის ფეხბურთელები დროდადრო უმწეო მდგომარეობაშივარდებოდნენ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა, რომელიც ტელევიზიით ადევნებდა თვალს ამ თამაშს, დპა-ს სააგენტოს კორესპონდენტს უთხრა: „თამაში კიევში, რა თქმა უნდა, არ იყო ბრწყინვალე. ავადმყოფობის გამო „ბაიერნში“ არ გამოდიოდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე. დიტმარ კრამერი იძულებული იყო მინდორზე გამოეყვანა უკანასკნელი რეზერვი. ამიტომაც მიუნხენელებს გაუჭირდათ ისეთ ძლიერ გუნდთან გამკლავება, როგორიც ამჟამად კიევის „დინამოა“.

ყველა გაზეთი აქვეყნებს „ბაიერნის“ მწვრთნელის დ. კრამერის განცხადებას, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჩვენ წავაგეთ დიდებულ გუნდთან, ბლოხინმა კი ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის მსოფლიო კლასის ფეხბურთელია. მე ვუსურვებ კიევის „დინამოს“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში წარმატებებს. გუნდი ამას სავსებით იმსახურებს“.

■ ■ ■

სურათზე: ევროპის 1975 წლის სუპერთასის მფლობელი — კიევის „დინამო“.

ბ. სვეტლანოვის ფოტო.
(„სოვეტსკი სპორტი“).

ჭაბუკი რობინ ჰუდებისთვის

საბჭოთა ქვეყნის სავაჭრო ორგანიზაციებმა უკვე მიიღეს საბავშვო და ჭაბუკთა სპორტული მშვილდისრების პირველი პარტია. მათ უშვებს ლვოვის ექსპერიმენტული სათხილამურო ფაბრიკა „დინამო“. მშვილდები დამზადებულია წიფლის მერქნისგან, არმირებულია მინაპლასტიკით, შეწებებულია ეპოქსიდური ფისებით და კარგადაა გაპრიალებული. ახალი მშვილდები გამოირჩევა შორსმსროლობით და გამძლეობით, ფასი კი სამჯერ ნაკლებია უწინდელ მოდელთან შედარებით.

ზამთრის სეზონის დასაწყისისთვის საწარმომ აითვისა, აგრეთვე, სრულყოფილი სარბოლი თხილამურების „სტარტის“, სლალომისა და ტრამპლინიდან სახტომი თხილამურებისა და ჰოკეის ყვანჯების სერიული გამოშვება.

წლეულს საწარმო დაამზადებს 200 ათასზე მეტ წყვილ თხილამურს, 350 ათასამდე ყვანჯსა და 5 ათას ახალი მოდელის მშვილდს.

ლვოვის ფაბრიკის ნაკეთობანი იგზავნება პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და კანადაში.

ლვოვი.
(საქდესის კორ.).

სპორტი მარკების სამყაროში

იუგოსლავიის ქალაქ სარაევოში მოწყობილ ფილატელიის საერთაშორისო გამოფენაში სპეციალური პრიზი მიეკუთვნა ბაქოელი მოსწავლის ჯამილია სეიფის კოლექციას — „საბჭოთა ქალები სპორტში“. ამ გოგონას მიერ შეგროვილი 500-მდე ორიგინალური მარკა და ბლოკი მოგვითხრობს გამოჩენილ საბჭოთა სპორტსმენ ქალებზე, მათს ბრწყინვალე გამარჯვებებზე საერთაშორისო და საკავშირო სარბიელზე, კვალდაკვალ მიჰყვება სსრ კავშირში ქალთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების გზას.

სპორტი და ფილატელია ახალგაზრდა ბაქოელი გოგონას დიდი ხნის გატაცებაა. სწორედ ამ სპორტულმა კოლექციონერობამ მიიყვანა ჯამილია მხატვრული ტანვარჯიშის სექციაში, სადაც მან პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა. ფილატელიაში მისი მიღწევები უფრო წონადია. სპორტისადმი მიძღვნილმა ჯამილიას კოლექციამ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დღეებში მოსკოვში ჩატარებულ საკავშირო გამოფენაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, აზერბაიჯანის VI სპარტაკიადის აღსანიშნავ გამოფენაზე კი — პირველი პრიზი. მან, აგრეთვე, მოწონება დაიმსახურა საბჭოთა ქვეყნის სხვა გამოფენებზე და საზღვარგარეთ.

ბაქოს ფილატელისტთა კლუბი, რომლის წევრიც დიდი ხანია არის ჯამილია, ბევრ კოლექციონერს აერთიანებს, რომლებიც აგროვებენ მარკებს სპორტულ თემაზე. რესპუბლიკაში კარგად იცნობენ ფიზკულტურის მასწავლებლის ა. შჩაროვსკის კალათბურთისადმი მიძღვნილ კოლექციას, აფროსნობის ამსახველ ინჟინერ ე. ემირ-შაჰის კოლექციას, მოსწავლე გ. გორდეევის ზამთრის ოლიმპიური სახეობებისადმი მიძღვნილ მარკებს და სხვ.

როგორც წესი, სპორტული ფილატელისტი კარგი სპორტსმენიცაა, მშდ-ს ნიშნოსანია.

ვ. მოროზოვი.
(საქდესის კორ.).

ბაქო.

ტაიგაზე დაფრინავს... „ბოლონია“

ერთხელ ტაიგის სოფელ ტუროჩაკის მცხოვრებნი უზარმაზარი ფანტასტიკური შავი ფრინველის გაფრენის მოწმენი გახდნენ. მაგრამ საიდუმლო მალე გამოაშკარავდა: „ფრინველს“ — დელტოპლანს ადამიანი მართავდა. იგი შექმნა ინჟინერმა ს. კაზანცევმა. სერგეიმ ამ სოფელში დაამთავრა ათწლედი, შემდეგ სწავლობდა ტომსკის ავტომატური მართვის სისტემების ინსტიტუტში, სადაც საპლანერო სპორტმა გაიტაცა. ბოლოს დადგა დრო, როცა კაზანცევი დელტოპლანის აგების იდეამ შეიპყრო.

სერგეის მოდიფიკაციის ეს უმოტორო საფრენი აპარატი წარმოადგენს ლითონის მილებისა და ტროსების კონსტრუქციას, რომელიც გარშემოკრულია სალაბადე ქსოვილ „ბოლონიით“. გაშლილი ფრთების სიგანე 7 მეტრია, ფართობი — 16 კვადრატული მეტრი. მისი მართვა ხდება პილოტის სიმძიმის ცენტრის გადაადგილებით.

...ეს იყო საიუბილეო, მეოთხასე და... კაზანცევის პირველი მაღლივი გაფრენა. სერგეიმ სტარტი აიღო კილომეტრზე უფრო მაღალი მთიდან, და სწორედ ამ დროს თანასოფლელები განცვიფრდნენ „შავი ფრინველის“ გაფრენით.

ამჟამად ტუროჩაკში დელტოპლანზე ფრენის უამრავი მსურველია, სოფელში ჩამოყალიბებულია საპლანერო სექცია და, ბუნებრივია, ახალგაზრდებს „ფრინველის“ კონსტრუირებასა და აგებაში ეხმარება კაზანცევი. თითონვე ასწავლის თანასოფლელებს ფრენის ანბანს.

ა. დემჩენკო.
(საქდესის კორ.).

გორნო-ალტაისკი.



მეგობრების ზეიმზე

მოსკოვის ორჯონიკიძის სახელობის საავიაციო ინსტიტუტი საქვეყნოდ ცნობილი უმაღლესი სასწავლებელია თავისი აღმზრდელებითა და აღსაზრდელებით, პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტებით, კოსმონავტებითა და სპორტსმენებით.

„მაი“ — ამ ემბლემით ბევრჯერ გამოსულან სპორტულ სარბიელზე ინსტიტუტის კალათბურთელები, ფრენბურთელები, მძლეოსნები, რეგბისტები, ხელბურთელები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

საბჭოთა ხელბურთის გარიჟრაჟზე, როცა უკრაინის ხელბურთელებს ბადალი არ ჰყავდათ, ინსტიტუტში ჩამოყალიბებული ახალგაზრდული გუნდი ორიოდე წელიწადში დიდი ხელბურთის (11×11) პრემიერი გახდა. იმ პერიოდში ქართველი ხელბურთელები მოსწავლეთა რიგებში იდგნენ და სწორედ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სპორტსმენთაგან სწავლობდნენ პატარა ხელბურთის (7×7) ანბანს.

ახლახან მოსკოველთა სახელმოხვეჭილ კოლექტივს 20 წლისთავი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე ვეტერანებმა თუ მათმა შემცვლელებმა ცხრაჯერ მოიხვეჭეს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება, მოიპოვეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, რამდენიმეჯერ გახდნენ სტუდენტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონები...

კლიმოვის, მაქსიმოვის, კრავცოვის, მახორინის, ოგანეზოვისა და ილინის სახელები მტკიცედ დამკვიდრდა ჩისტოვის, ზიაზინის, ევტუშენკოს, სეგალისა და ზიმნიკოვის სახელთა გვერდით, დღევანდელ ახალგაზრდობას კვლავინდებურად მაღლა უჭირავს ინსტიტუტის სპორტული დროშა.

გუნდის ზეიმზე საინტერესო იყო სსრ კავშირისა და საავიაციო ინსტიტუტის 1955-62 წლების ნაკრები გუნდების შეხვედრა, აგრეთვე, ამჟამინდელი საკავშირო ნაკრებისა და საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივის მატჩი.

სსრ კავშირის ვეტერანთა ნაკრებში სხვებთან ერთად გამოდიოდნენ თბილისელები ი. ფხაკაძე, ჯ. ბაგრატიონი და ამ სტრიქონების ავტორი. ინსტიტუტის ვეტერანთა რიგებში იყვნენ სეგალი, ჟურავლიოვი, პუსტოვალოვი და სხვ. ეს იყო მატჩი ძველი სპორტული მეგობრებისა და მეტოქეებისა, რომელთა ჭიდილს ესოდენ დიდი გამარჯვებები მოჰქონდა საბჭოთა ხელბურთისთვის.

1976 წელს ქართულ ხელბურთს 20 წელი უსრულდება. საბჭოთა ხელბურთის ზეიმი გადმოინაცვლებს საქართველოში და ძველი მეგობრები თბილისის სპორტის სასახლეში კიდევ ერთხელ გაიხსენებენ წარსული სპორტული ცხოვრების ფურცლებს.

ჯ. აბაიშვილი,
სპორტის საპატიო ოსტატი.

ყინულის მოედნებზე

გუშინწინ გაიმართა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის ორი კალენდარული მატჩი.

გორკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი — მოსკოვის „კრილია სოვეტოვი“. თამაში დროდადრო უხეშობაში გადადიოდა და მეტოქეებმა საერთო ჯამში თოთხმეტჯერ მოიხადეს ორწუთიანი სასჯელი (თითოეულმა გუნდმა — შვიდჯერ).

გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 8:2 (2:1, 4:0, 2:1).

შაიბები გაიტანეს: გამარჯვებულთაგან — რასკომ (2), მასლოვმა, კლიმოვმა, ლაპინმა, კაპუსტინმა, რეპნიოვმა და კოტოვმა; დამარცხებულთაგან — დობროხოტოვმა და კულიკოვმა.

მოსკოვში ადგილობრივმა სპარტაკელებმა, ისევე როგორც პირველ წრეში, თანაქალაქელ დინამოელებს სძლიეს. თამაშის ანგარიშია 6:4 (5:0, 0:4, 1:0). შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა.

შაიბები გაიტანეს: სპარტაკელთაგან — იაკუშევმა (3), რუდაკოვმა, ბრაგინმა და კრილოვმა; დინამოელთაგან — მალცევმა (გამოიყენა ბულიტი), ნაზაროვმა, ბელონოჟკინმა და ტიტოვმა.

გუნდებში ყველა პროფესიის ხალხია

ოთხასზე მეტი მონაწილე — ეს სარეკორდო ციფრია

სამნი ერთი ოჯახიდან

ორშაბათს დილიდან სტუმრების შესახვედრად ყველანი ფეხზე დადგნენ. თბილისის რკინიგზის ვოგზალთან აჭარიდან, აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან, ქუთაისიდან, გორიდან, ბორჯომიდან, მაიაკოვსკიდან, ზუგდიდიდან, ჭიათურიდან, რუსთავიდან, სიღნაღიდან მომავალ გუნდებს მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის ფინალური გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტის, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების, რესპუბლიკისა და ჩვენი დედაქალაქის სპორტკომიტეტების წარმომადგენლები ავტობუსებით ელოდებოდნენ.

ვოგზალიდანვე იწყებოდა ამ დიდი შეჯიბრების კულტურული ნაწილი: ექსკურსიები ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულები იყვნენ მეტეხის ციხესთან, გამარჯვების პარკში გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი... ფიზკულტურის ინსტიტუტში ინსტიტუტის პრორექტორმა, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა რ. კერესელიძემ მათ სასწავლებლის წარსულსა და მომავალზე მოუთხრო, მერე რესპუბლიკის საუკეთესო ნიშნოსნები უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიწვიეს და კონცერტიც გაუმართეს.

ერთი სიტყვით, ფინალური ტურნირი, რომელსაც თორმეტი ზონალური ასპარეზობა უსწრებდა, საკმაოდ ორგანიზებულად დაიწყო. მეორე დღეს კი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე უკვე ბრძოლები გაჩაღდა. მოასპარეზეთა შორის არიან მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები და, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობა... არიან ერთი ოჯახის, ერთი კოლექტივის წევრებიც.

რუსთავის გუნდის ინტერესების დასაცავად ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ქიმიური საამქროს ოსტატის ნიკოლოზ ჩერნიშოვის ოჯახის სამი წევრი გამოდის. თვითონ ნიკოლოზი და მისი მეუღლე — ამავე საამქროს მეაპარატე პოლინა ჩინჩალაძე V საფეხურის პირველი ასაკის ნორმატივების ჩაბარებაში ეჯიბრებიან სხვებს, მათი 15 წლის ვაჟი სერგო, რომელიც მეტალურგთა ქალაქის მე-9 სკოლის IX კლასში სწავლობს, II საფეხურში ცდის ძალას. და-ძმა — სტუდენტი ნატო და მოსწავლე ივანე ჯუჩმაზოვები გორის გუნდის წევრები არიან, ჭიათურელთა კოლექტივში ხუთი კაპანაძე გამოდის... ამ გუნდის ყველაზე უფროსი წევრი, ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს მუშა, 50 წლის პეტრე ივანოვი, ტრესტ „ჭიათურმარგანტრესტის“ დამხმარე საწარმოს მუშა, 47 წლის ვლადიმერ ტყემალაძე, მეჩხეთურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ნელი ჩინჩალაძე, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თანამშრომელი ჯუმბერ მინდორაშვილი, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნოდარ ბუიძე და ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგი მედეა შოთაძე, ქუთაისის რეზინის ნაწარმის ქარხნის მუშა ლუდმილა ქობალია ზონალურ შეჯიბრებებში კარგად გამოვიდნენ და ახლა თანაგუნდელებთან ერთად უფრო დიდ ტურნირში ცდიან ძალებს. მათი მსგავსნი კი ყველა ნაკრებ კოლექტივშია...

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონს ასეთი ხალხმრავალი შეჯიბრება არ ახსოვს: 400-ზე მეტი ბიჭი და გოგონა, ქალი და კაცი ჩაება გადამწყვეტ ბრძოლებში, რომლებმაც არა მარტო საქართველოს საუკეთესო კოლექტივი და საფეხურების მიხედვით ჩემპიონები უნდა გამოავლინოს, არამედ საკავშირო პირველობის საგზურებიც უნდა გასცეს.

ეს იყო უჩვეულო შეჯიბრება მძლეოსნობაში. ასპარეზობა ერთდროულად რამდენიმე სექტორზე მიმდინარეობდა. დარბოდნენ 60 და 100 მეტრზე, ჰკრავდნენ ბირთვს, ტყორცნიდნენ ჩოგბურთის ბურთსა და ხელყუმბარას... მსაჯთა ბრიგადები დაუღალავად შრომობდნენ, სამდივნო საქმეს ძლივს აუდიოდა, მაგრამ იგი გამოცდილი არბიტრის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ჰ. ათაბეგოვის ხელმძღვანელობით მაინც ყველაფერს ასწრებდა.

იმ დღეს ზოგი ერთ სახეობაში ასპარეზობდა, ზოგი — ორში. ეს ასაკზე იყო დამოკიდებული. „მოხუცებს“ პროგრამაში მარტო 60 მეტრზე რბენა ჰქონდათ, ახალგაზრდები 100 მეტრზე დარბოდნენ და ხელყუმბარას ტყორცნიდნენ, უფრო პატარები კი ერთმანეთს 60 მეტრზე რბენასა და ჩოგბურთის ბურთის ტყორცნაში ეჯიბრებოდნენ.

და აი, პირველი ლიდერებიც გამოვლინდნენ. ბიჭების I საფეხურის ნორმატივების ჩაბარებაში გორელები დაწინაურდნენ: ვ. ზაქარიაძემ 60 მ 7,7 წამში გაირბინა და 39 ქულა დაიმსახურა. ი. კუკულაძე (აჭარა) მას 0,1 წამით ჩამორჩა და 34 ქულა მიიღო. ბიჭებმა განსაკუთრებით ბურთის ტყორცნაში გამოიჩინეს თავი — ბევრმა ქულათა მაქსიმუმი (45) დააგროვა, მათ შორის — ზაქარიაძემაც (57 მ) და ორი სახეობის მერე 84 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მაგრამ ბურთის ტყორცნაში მისი მჯობნიც აღმოჩნდა — სიღნაღელმა ა. ტუხაშვილმა მას 20 სმ მოუგო.

ამ საფეხურის ნორმატივების ჩაბარებაში მოასპარეზე გოგონებს შორის დაწინაურდა ლ. ჟავორონკოვა (აჭარა), რომელმაც 60 მ 8,2 წამში გაირბინა (45 ქულა), ბურთი კი 35 მეტრზე ტყორცნა (17 ქულა). ორჭიდის ჯამში მასთან 3 ქულას აგებს ზუგდიდელი მ. საფონკოვა, რომელმაც განსაკუთრებით ბურთის ტყორცნაში გამოიჩინა თავი (43,15 მ, 45 ქულა).

დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა III საფეხურის ნორმატივების ჩამბარებელ ვაჟთა და ქალთა ტურნირებში. შარშანდელი საკავშირო პირველობის პრიზიორი, მაიაკოვსკელი ვ. გორგოძე II საფეხურიდან მესამეში სულ ახლახან გადმოვიდა, მაგრამ პირველობას მაინც არ თმობს. 100 მეტრზე რბენისა (12,6 — 8 ქულა) და ხელყუმბარის ტყორცნის (61,20 მ — 16 ქულა) მერე მას და ქუთაისელ გ. დიდბერიძეს (11,8 წამი — 19 ქულა და 46,44 მ — 5 ქულა) ჯამში 24-24 ქულა დაუგროვდათ. მათ ფეხდაფეხ მისდევენ აფხაზეთის გუნდის წევრები ვ. ტიტოვი (22 ქულა) და ს. ბერეჟნოი (20), აჭარის გუნდის წარმომადგენლები რ. ხაჩატუროვი (20) და ს. ორლოვი (19).

ქალთა შორის კიდევ უფრო მეტი სიმჭიდროვეა. თბილისელი ი. ამოსოვა (23 ქულა) ქულით ასწრებს ს. ძნელაძეს (აჭარა), მას კი თანაგუნდელი მ. გალაევა ასევე ქულით ჩამორჩება.

საკმაოდ მაღალი შედეგები აღმოჩნდა V საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფის ნორმატივების ჩამბარებელ ქალთა შეჯიბრებაში. მართალია, აქ სულ 7 მონაწილე შეგროვდა, მაგრამ თბილისელმა გ. ზრაჟევსკაიამ 60 მეტრზე რბენაში (10 წამი — 14 ქულა) და ბირთვის კვრაში (7,90 მ — 45 ქულა) 59 ქულა მოაგროვა. ზუგდიდელმა ლ. შურღაიამ კი 49 ქულას მოუყარა თავი. ახლა მათი დავა დარჩენილმა სახეობებმა უნდა გაარკვიოს.

სხვა საფეხურების ნორმატივების ჩაბარებაში დაწინაურდნენ: **გოგონები.** საფეხური. ა. ქუმარიტოვა (სამხრეთ ოსეთი) — 51 ქულა. **ქალები.** IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფი. ს. ნოვოსელოვა — 48; მეორე ასაკობრივი ჯგუფი. თ. როჟმანოვა—14. V საფეხურის მეორე ასაკობრივი ჯგუფი. ვ. კოვალი — 8. **ბიჭები.** II საფეხური. ვ. ქავთარაძე (ყველა — თბილისი) — 55. **ვაჟები.** IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფი. ვ. ზაბოლოტნი — 29; მეორე ასაკობრივი ჯგუფი. თ. ბოლქვაძე (ორივე — აჭარა) — 25. V საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფი. დ. გაბუნია (ქუთაისი) — 27; მეორე ასაკობრივი ჯგუფი. ვ. სლეტოვი (რუსთავი) — 10.

პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ: აჭარა (751 ქულა), თბილისი (671) და აფხაზეთი (617).

ო. ბელაშვილი.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

მოცურავეთა წარმატების გზები

საკავშირო სპორტკომიტეტმა მოიწონა ცურვის ფედერაციის ცნობა მსოფლიოში სპორტის ამ სახეობის განვითარების ტენდენციებისა და სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატებში ცურვის ყველა განყოფილებასთან IV, V, VI კლასებში მომავალი დიდი შეჯიბრებებისთვის პერსპექტიულ მოცურავეთა ჯგუფების შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ცურვას ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მძლეოსნობის შემდეგ მთავარი ადგილი უკავია. მოცურავეები მედლების 26 კომპლექტს ინაწილებენ. ამიტომ არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში მოცურავეთა შედეგები ძალიან დიდ როლს თამაშობს. სწორედ ამიტომაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები მძაფრ კონკურენციას გვიწევენ ოლიმპიურ თამაშებში. მაგალითად, ამერიკელმა მოცურავეებმა მეხიკოში 21, ხოლო მიუნხენში 17 ოქროს მედალი მოიპოვეს, საბჭოთა მოცურავეებს კი მიუნხენში არც ერთი ოქროს მედალი არ ერგოთ. ბოლო წლებში მათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეებმაც აჯობეს.

იმისთვის, რომ მომავალ დიდ ტურნირებში გდრ-ისა და აშშ-ს მოცურავეებს ვაჯობოთ, საჭიროა ძალების მაქსიმალური მობილიზება მსოფლიოში ცურვის განვითარების ტენდენციების შესაბამისად.

მაინც, საით მიდის ცურვა, როგორია მსოფლიოში მისი განვითარების ტენდენციები?

1973-75 წლებში დამყარებული მსოფლიო რეკორდებიდან ქალებში ყველა 14-15 წლის გოგონებს, ხოლო ვაჟებში 17-18 წლის ბიჭებს ეკუთვნით. თითქმის ყველა მათგანმა 10-11 წლის ასაკში (ზოგიერთმა ბიჭმა — 12 წლის ასაკში) დაიწყო ვარჯიში და მსოფლიო რეკორდამდე 5-5,5 წელიწადში განვლო გზა. ისინი აუზში ყოველდღე 4-5 საათს ვარჯიშობდნენ, წელიწადში კი 3000-3500 კილომეტრს ფარავდნენ.

ამრიგად, სსრ კავშირში მომავალი დიდი შეჯიბრებებისთვის კარგ მოცურავეთა მომზადებისთვის დრო არის, ოღონდ მკაცრად უნდა დავიცვათ თანამედროვე მოთხოვნები, კერძოდ, აქცენტი უნდა გადავიტანოთ ნიჭიერ, იმედის მომცემ 10-12 წლის ბავშვებზე. ისინი იმ ახალბედათა დიდი მასიდან უნდა ავირჩიოთ, რომლებმაც ცურვის ანბანი უკვე იციან. მათთან 5 წლის მანძილზე დღეში 5 საათს უნდა ვიმუშაოთ სპორტულ მომზადებაში, ზამთრობით დახურულ, ხოლო ზაფხულობით ღია საცურაო აუზში.

მუშაობა უნდა წარიმართოს ყველაზე გამოცდილი მწვრთნელების მეთვალყურეობით. საჭიროა სისტემატური სამედიცინო კონტროლი, კარგი კვება და მკაცრი დღის რეჟიმი.

ამ თვალსაზრისით ვარჯიში ყველაზე ნაყოფიერი სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის პირობებში შეიძლება იყოს. ასეთი სკოლები 1971 წელს შექმნეს და ამოცანად სსრ კავშირის მოცურავეთა ნაკრებისთვის რეზერვის მომზადება დაუსახეს. მაგრამ ეს ამოცანა წლევანდლამდე მხოლოდ ლენინგრადის მშსკ-მ (მუდმივი შეკრების სკოლა-ინტერნატი) გადაწყვიტა წარმატებით. დანარჩენებმა, მათ შორის, საქართველოს მშსკ-მ ამოცანა ვერ შეასრულეს, ვინაიდან მოუგვარებელია მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები, დაბალ დონეზე დგას აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობები და კვება, არა აქვთ საკუთარი საცურაო აუზები, სპორტული დარბაზები და მისი აღჭურვილობა ძალისმიერი ტანვარჯიშისთვის, არ არის გამაჯანსაღებელი აღდგენითი ცენტრები, გამაჯანსაღებელი სპორტული ბანაკები...

გადასაჭრელია, აგრეთვე, მეთოდური საკითხებიც. ცურვაში დატვირთვა მცირეა, უხარისხოა ძალისმიერი ტანვარჯიში, ჩამორჩენილია ცურვის ტექნიკა, ჯგუფები ცუდად კომპლექტდება.

ეს პირველ ყოვლისა აიხსნება 7-9 წლის ბავშვებში ცურვის მასობრიობის დაბალი დონით. არა და, არსებობს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის დადგენილება, რომ ყველა აუზში წელიწადში 1500 ბავშვმა უნდა ისწავლოს ცურვა. ცხადია, დადგენილება არ სრულდება. საქმეს აფერხებს ისიც, რომ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლები ინტერნატს არ აძლევენ თავიანთს აღსაზრდელებს.

საქართველოში არსებობს სკოლა-ინტერნატები, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ვერ უპასუხებენ თანამედროვე მოთხოვნებს.

ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა პერსპექტიულ მოცურავეთა პატარა ჯგუფი და სულ ცოტა ხანში კარგი შედეგებიც მივიღეთ. დღეს ბევრი მათგანი იმედს გვაძლევს. ეს სპორტსმენები ინტერნატულ პირობებში გვყავს, მაგრამ საკითხის ორგანიზაციული მხარე ჯერ კიდევ მოუგვარებელია. იქ, სადაც მოცურავეები ცხოვრობენ, ხშირად ასახლებენ სხვა სპორტსმენებს. ამასთან, არც სწავლისთვისაა შესაფერი პირობები. ეს ყველაფერი რეჟიმის დარღვევას იწვევს. ამასთან, აქვე მინდა თბილი სიტყვებით მოვიხსენიო თბილისის 54-ე და 56-ე საშუალო სკოლების დირექციები და პედაგოგიური კოლექტივები, რომლებმაც ხელი შეგვიწყვეს, რათა მათთან მოეყარა თავი ჩვენს პერსპექტიულ მოცურავეებს.

ეს რეზერვი აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, სანამ ინტერნატები ძველებურად განაგრძობენ მუშაობას.

იმისთვის, რომ ჩვენმა მოცურავეებმა დიდი წარმატებები მოიპოვონ, პირველ ყოვლისა საჭიროა IV, V და VI კლასების (ქართულ-რუსული) ორ-ორი პერსპექტიული ჯგუფის შექმნა. უნდა შევარჩიოთ უფროსი მასწავლებლები (მწვრთნელები) თითოეული კლასისთვის და დავავალოთ მათ ნიჭიერ მოცურავეთა თავმოყრა.

უნდა მოგვარდეს სპორტული ბაზებისა და საცხოვრებელი ადგილის საკითხი. უნდა გავითვალისწინოთ ლენინგრადის, მინსკის, მოგილიოვის, ვოროშილოვგრადის, ლვოვის, ხარკოვისა და სხვათა გამოცდილება.

გარდა ამისა, განათლების განყოფილებამ უნდა აგოს თავისი სპორტული ბაზები გამაჯანსაღებელი და ძალის აღმდგენი ცენტრებით. მაშინ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და სხვა დიდი ასპარეზობებისთვის შესანიშნავი მოცურავეები გვეყოლება.

ლ. იოაკიმიდი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. დღეს აქ შედგა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 38-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო“ — 5, 7, 13, 37, 38, 41;

„სპორტლოტო-2“ — 10, 13, 23, 40, 45, 48.

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

გადატანილი მატჩი

7 ოქტომბერს მოსკოვის სპარტაკელებმა შინ მიიღეს „დნეპრი“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

გოლი დნეპროპეტროვსკელთა კარში მე-60 წუთზე გაიტანა ანდრეევმა (11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით).

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	24	15	7	2	44—20	37
„შახტიორი“	24	11	7	6	34—21	29
„ტორპედო“	25	11	7	7	39—28	29
„დინამო“ მ.	25	9	11	5	27—21	29
„დნეპრი“	26	10	8	8	31—27	28
„ზარია“	25	9	9	7	30—29	27
„კარპატი“	25	8	10	7	32—26	26
„სპარტაკი“	25	9	8	8	26—25	26
„არარატი“	25	11	4	10	34—34	26
„დინამო“ თბ.	25	9	6	10	28—30	24
ცსკა	24	6	10	8	26—28	22
„ჩერნომორ.“	25	8	6	11	23—30	22
„ლოკომოტ.“	25	5	11	9	24—28	21
„ფახტაქორი“	25	7	5	13	25—40	19
„ზენიტი“	25	6	7	12	23—38	19
ასკ	25	4	6	15	21—42	14

მოინდომებ — გაიმარჯვებ!

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 7 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) 2:1 (1:1).

„დინამო“: გოგია (იმნაძე), ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე, ასათიანი, მ. მაჩაიძე, გუცაევი (ესებუა), ყიფიანი, დარასელია.

„არარატი“: აბრამიანი, გევორქიანი, სარქისიანი, მირზოიანი (ბონდარენკო), მესროპიანი, ანდრეასიანი, ს. პეტროსიანი, მარტიროსიანი, მარქაროვი, ნ. პეტროსიანი, ოგანესიანი (იშტოიანი).

მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გაფრთხილებული არიან: მირზოიანი, გევორქიანი, აბრამიანი, ყიფიანი.

დუბლიორები — 2:1 (მატჩი შედგა გორში).

დიდი ხანია თბილისის „დინამოს“ არ მოუგია საკავშირო ჩემპიონატის მატჩი. უკანასკნელად ეს იყო 27 ივლისს, თბილისში. მას შემდეგ განვლო აგვისტომ, სექტემბერმა, დადგა ოქტომბერი... 14 შესაძლებლიდან გუნდმა სულ 3 ქულას მოუყარა თავი, 11 კი, რბილად რომ ვთქვათ, ქარს გაატანა და III-IV ადგილებიდან, რომლებსაც მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად იყოფდა 17 ტურის შემდეგ, ნელ-ნელა, მეთოდურად ჩამოქვეითდა დაბლა, ძალიან დაბლა და მიაღწია იმ ზონას, სადაც სრული სიმწვავით დგას ყოფნა-არყოფნის საკითხი (უმაღლეს ლიგაში, რა თქმა უნდა).

შეიქმნა კატასტროფული მდგომარეობა. თბილისის „დინამო“ ქართული სპორტის სიამაყე იყო მუდამ, გულშემატკივართა ურიცხვი რაოდენობა ათეული წლებია თვალს არ აცილებს თავის საყვარელ გუნდს, მწვავედ განიცდის მის ყოველ მიღწევას თუ წარუმატებლობას და განწყობილებაც ზუსტად ისეთი ექმნება, როგორც დინამოელები თამაშობენ: მოგება — ახარებს, წაგება — წყინს. და რახან გუნდის საქმეები ბოლო ხანებში ასე ცუდად წავიდა, ჩვენი განწყობილების „საბარომეტრო“ ისარიც სულ ერთთავად ქვევით მიექანება.

რედაქციაში ახლა დასტა-დასტად მოდის ფეხბურთის მოყვარულთა წერილები, ჩვენს ფოსტალიონს ფეხები დააწყდა მათი ზიდვით.

რა სურთ ამ წერილების ავტორებს, რას უჩივიან? რა აიძულებს დაზგასთან მდგომ მუშას, ჩაის პლანტაციაში გასულ მშრომელს, შორეულ რეწვაში გამგზავრებულ მეთევზე-მეზღვაურს, ან საბჭოთა არმიაში მყოფ ჯარისკაცს დასვენების დროს, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების ნაცვლად, საწერკალამი აიღოს ხელთ და ნაღვლიანი სტრიქონებით აავსოს ფურცლები?

აიძულებს მხოლოდ ერთი: გუნდის სუსტი თამაში, მისი სავალალო სატურნირო მდგომარეობა. ათას რამეს წერენ ისინი, ზოგნი ცალკეულ მოთამაშეებს აყვედრიან, ზოგნი — ტაქტიკურ ნაკლოვანებებს აღნიშნავენ, ზოგიც რადიკალურ რეპრესიებს გვთავაზობს. მაგრამ ყველა ამ წერილს ერთი მთავარი ლეიტმოტივი გასდევს წითელ ხაზად: გუნდს აკლია მონდომება, არ გააჩნია მობილიზებისა და სპორტული თავგანწირვის უნარი.

აი, სწორედ ამაზე გვინდა ვილაპარაკოთ. ვეთანხმებით ჩვენს კორესპონდენტებს: გუნდს ხშირად აკლია მონდომება, შემართება, მაქსიმალურ შესაძლებლობათა გამოვლენის უნარი. მაგალითისთვის შორს რად გვინდა წასვლა: შეადარეთ თბილისის „დინამო“, როცა იგი თავის მინდორზე ეთამაშა „ზარიას“, იმ გუნდს, რომელიც გუშინწინ ებრძოდა „არარატს“, ცა და დედამიწაა! განა შეიძლება ერთ სასწორზე მოათავსო ის ფეხბურთელები, რომლებიც ხელჩამოშვებული, გულგრილად სეირნობდნენ „ზარიასთან“ მათ, ვინც ახლა ძალ-ღონის დაუზოგავად, ერთიანი, მონოლითური კოლექტივის სახით იბრძოდა ერევნელებთან ამ უმძიმეს მატჩში? რასაკვირველია, არა!

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ყველა მატჩი თანაბარი მნიშვნელობისაა და არც მოთამაშეა ავტომატი, რომელმაც ერთნაირად უნდა იმოქმედოს ყოველთვის, ყველგან. არის საგანგებო თამაშები, სადაც ხდება განსაკუთრებული მობილიზება, განწყობა, ყოველი მოთამაშის შესაძლებლობათა კონცენტრაცია და ა. შ. თასის ფინალს, მაგალითად, ისე არავინ თამაშობს, როგორც რიგითს შეხვედრას, მაგრამ არსებობს რაღაც ელემენტარული სათამაშო ნორმები, რომელთაგან უკან დახევა არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში, არსად, არც ერთ სიტუაციაში. ნებისმიერი მობილიზების გარკვეული სტაბილური დონე გუნდს მუდამ უნდა ჰქონდეს. ეს მისი საერთო კლასის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, ურომლისოდაც არ არსებობს სპორტი, განსაკუთრებით კი — ფეხბურთი.

და აი, „არარატთან“ მატჩში დინამოელებმა თვალსაჩინოდ დაგვიმტკიცეს, რომ მათ გაცილებით მეტი შეუძლიათ, რომ ლიდერთა ჯგუფიდან დაბლა მათ ჩამოინაცვლეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ ითამაშეს თავიანთ შესაძლებლობათა დონეზე, მეტოქეებს იოლად გადააბარეს უპირატესობა, მოდუნდნენ. აბა მინდორზე უქმად ყოფნას ვინ შეგარჩენს!

ხ უ რ ა თ ზ ე: ვ. გუცაევს პირველი ბურთი გააქვს ერევნელთა კარში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ვინ იტყვის, რომ ერევნელებთან მატჩში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა რაღაც განსაკუთრებული გააკეთეს, გმირობა გამოიჩინეს და უკვდავების მწვერვალზე ავიდნენ? უბრალოდ, გუნდის თითოეული წევრი აკეთებდა იმას, რაც ფეხბურთელს მოეთხოვება — კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის ფუნქციებს, მოძრაობდა, ეხმარებოდა პარტნიორს, არ აძლევდა მოწინააღმდეგეს თავისუფალი მოქმედების საშუალებას, შრომობდა, თავს არ იშურებდა. ერთი სიტყვით, თამაშობდა თავის შესაძლებლობათა ფარგლებში. სწორედ ამით გაიმარჯვეს მათ. მოინდომეს და გაიმარჯვეს.

ეს მონდომება ნათლად ჩანდა პირველივე წუთებიდან, როცა მასპინძლებმა ენერგიული თამაშით ხელთ აიღეს უპირატესობა. გუცაევმა, ყიფიანმა და დარასელიამ დასაწყისშივე შექმნეს სახიფათო მომენტები აბრამიანის კართან, მათ აქტიურად დაუჭირეს მხარი ნახევარმცველებმა, ყურადღებით თამაშობდნენ მცველები.

გოლი მე-16 წუთზე გაიტანა გუცაევმა ძოძუაშვილის გადაცემის შემდეგ, ცოტა ხანში კი სტუმრები სულ ცოტა ორ-სამ აშკარა გოლს გადაურჩნენ, ისეთი მძლავრი იყო დაწოლა მათს კარზე. შუა ტაიმში „არარატმა“ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, რამდენიმე ძალიან სახიფათო იერიში განავითარა და 36-ე წუთზე ანდრეასიანმა ანგარიშიც გაათანაბრა. „არარატი“ ძალიან ძლიერი, მაღალი კვალიფიკაციის გუნდია და გასაკვირი არაფერია, რომ შეძლო ასეთი კონტრიერიშების შექმნა.

მეორე ტაიმში უპირატესობას კვლავ დინამოელები ფლობდნენ და საკმაოდ საფუძვლიანადაც. ამის უდავო დამამტკიცებელია ისიც, რომ „დინამოს“ ახალგაზრდა მეკარე იმნაძეს არც ერთხელ არ დასდგომია რამდენადმე მაინც მძიმე გასაჭირი და, საერთოდ, ბურთი პირველად ხელთ აიღო მხოლოდ 73-ე წუთზე და ისიც საკმაოდ ორდინარულ ვითარებაში.

ამ უპირატესობას მოჰყვა ის, რომ სტუმრებმა 61-ე წუთზე აკრძალული ხერხით წააქციეს გარღვევაზე გასული ძოძუაშვილი, ხოლო ყიფიანმა ზუსტად გამოიყენა პენალტი — 2:1.

ჰაერივით საჭირო 2 ქულა მოპოვებულია, საქმე ოდნავ (მხოლოდ ოდნავ) გამოსწორდა, დარჩენილ უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩებში კი, იმედი უნდა ვიქონიოთ, გუნდი ყველაფერს იღონებს თავისი შემდგომი წინსვლისთვის, პრესტიჟის აღდგენისთვის.

ამაზე შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ სანამ ამას გავაკეთებდეთ, ვალდებულად მიგვაჩნია თავი აღვნიშნოთ ერთი სავალალო ფაქტი. საქმე ეხება ყიფიანს. ამ ფეხბურთელს ყველანი კარგად ვიცნობთ. მის მაღალ ოსტატობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ყიფიანს არაერთხელ უხსნია „დინამო“ უმძიმეს მდგომარეობაში, იგი გუნდის წამყვანი ძალაა და სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრიც. მაგრამ რა ვუყოთ იმ სამ გაფრთხილებას, რომლებიც მას აქვს მიღებული წლევანდელ ჩემპიონატში? რატომ ავიწყდება ყიფიანს, რომ ორი გაფრთხილების შემდეგ ფეხბურთელი ავტომატურად აცდენს ერთ კალენდარულ მატჩს (მან გააცდინა კიდეც იგი), მესამე გაფრთხილების შემდეგ კი გამოტოვებს ორ თამაშს? მეოთხე გაფრთხილებისას მოთამაშეს დისკვალიფიკაცია ეძლევა 5 მატჩით, ესე იგი გამორიცხული არ არის ვარიანტი, რომ გაისად თბილისის „დინამომ“ თამაშები დაიწყოს უყიფიანოდ, რომელიც იძულებული იქნება წლევანდელი სასჯელი მოიხადოს.

ყიფიანი მაღალი კლასის, ტექნიკური, მე ვიტყოდი, ელეგანტური ფეხბურთელი, ბუნებით არ არის უხეში მოთამაშე, მაგრამ ტყუილ-უბრალოდ წამოეგება ხოლმე რომელიღაც სათამაშო ინციდენტს, ვერ იკავებს თავს, ცხარდება და... ისჯება. არ ყოფილა სეზონი, ყიფიანი რომ არ მოხვდეს უსიამოვნო კონდუიტში. საწყენი კია. ნებისყოფას ისევე უნდა ფლობდეს ფეხბურთელი, როგორც ბურთს.

ბ. ქორქია.

ფინიშამდე ხუთი ტურია

I ლიგა

ვგონებ, არასოდეს გამოუწვევია I ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშების ფინიშს ისეთი აჟიოტაჟი, როგორც ახლა. 11 აპრილს დაწყებული ხანგრძლივი ბრძოლა დასასრულს უახლოვდება. ამ ხნის მანძილზე გამოიკვეთა 20 მონაწილე გუნდის შესაძლებლობანი, შანსები: ზოგნი სატურნირო ცხრილის სათავეში განლაგდნენ, ზოგიერთმა შუაში გაინაღდა უზრუნველი ცხოვრება — არც ზევით გადასვლის შანსი აქვს და არც II ლიგაში ჩამოქვეითების საშიშროება ელის, ზოგიც თითებზე ითვლის თითოეულ ქულას, რათა არ გაიზიაროს ფრუნზეს „ალგის“ ბედი, რომელსაც დარჩენილ ტურებში აღარაფერი შველის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაინტერესებს რა მდგომარეობაა ლიდერთა ჯგუფში. ჯერ ერთი, ეს თავისთავად საყურადღებოა — რა ხდება „უმაღლეს საზოგადოებაში“, ვინ ემზადება საბჭოთა ფეხბურთის ელიტაში შესასვლელად. მაგრამ მთავარი სხვაა: საქართველოს მეორე გუნდი — ქუთაისის „ტორპედო“ წლეულს შესანიშნავად თამაშობს და ერთ-ერთი მათგანია, ვინც „ჩოხას იზომებს“ უმაღლესი ლიგისთვის.

ჯერ გავარკვიოთ, ვისა აქვს სადღეისოდ რეალური შანსი იბრძოლოს იმ ორი საგზურისთვის, რომლებიც გამოყოფილია პრეტენდენტებისთვის. ასეთებად უნდა ჩავთვალოთ პირველი ხუთეულის წარმომადგენლები: „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „ქაირათი“ (ალმა-ათა), „დინამო“ (მინსკი), „ტორპედო“ (ქუთაისი) და „ნეფთჩი“ (ბაქო).

კარგა ხანს ინარჩუნებდნენ საამისო შესაძლებლობას სიმფეროპოლის „ტავრია“ და კიშინიოვის „ნისტრუ“, მაგრამ ამ ეტაპზე ისინი, ჩვენი აზრით, ჩამორჩნენ წინ წასულ ქარავანს და არა გვგონია დარჩენილ ხუთ ტურში შეძლონ დანაკარგის კომპენსირება.

მაშ ასე — 5 გუნდი. ვის რა პერსპექტივები აქვს? პროგნოზები ფეხბურთში ხშირად მარჩიელობას ჰგავს და მკითხაობის გამოტანა გაზეთის ფურცლებზე საჩოთირო ამბავია, ამიტომ ჩვენ ჩამოვთვლით ლიდერებიდან ვის ვისთან და სად დარჩა სათამაშო, თქვენ კი, ფეხბურთის მოყვარულებო, აიღეთ ხელთ ფანქარი და ქაღალდი, საკუთარი შეხედულებით მიაკუთვნეთ გუნდებს ქულები, მოაგებინეთ, წააგებინეთ, ათამაშეთ ფრედ და გამოიანგარიშეთ რა გამოვა საბოლოოდ.

„კრილია სოვეტოვს“ დარჩა შემდეგი მეტოქეები: ორჯონიკიძის „სპარტაკი“ (სტუმრად), ბაქოს „ნეფთჩი“ (შინ), დუშანბეს „პამირი“ (შინ), იაროსლავლის „შინიკი“ (სტუმრად), მინსკის „დინამო“ (შინ);

„ქაირათს“: ფრუნზეს „ალგა“ (შინ), მინსკის „დინამო“ (სტუმრად), ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ (სტუმრად), ყაზანის „რუბინი“ (შინ), პერმის „ზვეზდა“ (შინ);

მინსკის „დინამოს“: კრასნოდარის „ყუბანი“ (სტუმრად), ალმა-ათის „ქაირათი“ (შინ), ფრუნზეს „ალგა“ (შინ), ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ (შინ), კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ (სტუმრად), ამას გარდა, მინსკელებმა ხელახლა უნდა ითამაშონ დუშანბეში „პამირთან“;

ქუთაისის „ტორპედოს“: ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ (შინ), კემეროვოს „კუზბასი“ (სტუმრად), სვერდლოვსკის „ურალმაში“ (სტუმრად), სიმფეროპოლის „ტავრია“ (შინ), ხარკოვის „მეტალისტი“ (შინ);

„ნეფთჩის“: დუშანბეს „პამირი“ (შინ), კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ (სტუმრად), იაროსლავლის „შინიკი“ (სტუმრად), სვერდლოვსკის „ურალმაში“ (შინ), კემეროვოს „კუზბასი“ (შინ).

შევახსენებთ ლიდერთა ხუთეულის სადღეისო აქტივსაც. „კრილია სოვეტოვს“ 44 ქულა აქვს, „ქაირატს“ და „დინამოს“ — 42-42, „ტორპედოს“— 41, „ნეფთჩის“ — 40.

ზედმეტი არ იქნება, თუ გადავხედავთ დებულების იმ პუნქტსაც, რომელიც უმაღლეს ლიგაში გადასვლას ეხება: პირველ ლიგაში I და II ადგილების განსაზღვრისას, თუ ორ და მეტ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნა, გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობას მნიშვნელობა არა აქვს. მათ შორის დაინიშნება დამატებითი თამაშები, რომელთა დრო და ადგილი გაირკვევა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოსა და ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური დადგენილებით.

რ. ქორიძე.

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● **„მადნეული“ (ჭიათურა) — ასკ (თბილისი) 3:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ. ბურთები გაიტანეს ა. სევასტოპულომ (2) და ქორიძემ.

● **უნივერსიტეტი (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

ოჩამჩირელებმა ორივე ბურთი კონტრშეტევისას გაიტანეს შესვენების შემდეგ (ტრომშინი, ლოგუა).

● **„მეშახტე“ (ტყიბული) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3:1. მსაჯი ხ. ალიხანოვი (თბილისი).**

თოდიძის მიერ მე-15 წუთზე გატანილი გოლი გაქვითა ქობულეთელმა დიკიმ. შესვენების მერე „მეშახტემ“ ხელთ იგდო უპირატესობა და გაიმარჯვა კიდეც (ბოჭორიშვილი, თოდიძე).

● **„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი ნ. მუხაშავრია (ბათუმი).**

გოლი გაიტანა ჩხეტიამ.

● **„კოლხეთი“ (ხობი) — „ივერისი“ (ცხაკაია) 3:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

ხობელებმა უპირატესობას მეორე ტაიმში მიაღწიეს, რაც ზუსტი დარტყმებით დაამთავრეს გუბელაძემ, ფაჩულიამ და კემულარიამ.

● **„დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:3. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).**

დინამოელებმა პირველ ტაიმში ძლიერად ითამაშეს. ანგარიში გახსნა ხარტაკოპულომ, შემდეგ კი კაკულიამ და ცანავამ კიდევ ორი ბურთი გაიტანეს. შესვენების შემდეგ „დურუჯმა“ მდგომარეობა გამოასწორა და საპასუხო ბურთიც გაიტანა (ტალახაძე). ამას გარდა, ლონდაძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

● **„ვარძია“ (ახპინძა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

ახპინძელმა ფოცხვერაშვილმა მე-7 წუთზე ვერ გამოიყენა პენალტი, თუმცა შემდეგ გამოასწორა თავისი შეცდომა და „ვარძია“ დააწინაურა. 67-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა გუმბერიძემ, მაგრამ მასპინძლებმა მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება გადამწყვეტი გოლი წილოსანმა გაიტანა.

● **„კოლხეთი“ (ფოთი) — „ივერია“ (ხაშური) 3:0. მსაჯი ხ. ალიხანოვი (თბილისი).**

სტუმრებმა ვერაფრით უპასუხეს „კოლხეთის“ სამ ბურთს, რომლებიც გაიტანეს მადანმა, სიჭინავამ და არზიანმა.

● **„შუქურა“ (ქობულეთი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).**

(დასასრული მე-4 გვ.).

საქართველოს ჩემპიონატი

დასასრული

სტუდენტებმა თავიანთი უპირატესობა პირველ ნახევარში შენგელიას მიერ გატანილი გოლით დაამთავრეს. შემდგომში „შუქურა“ უფრო აქტიურად თამაშობდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. თავი გამოიჩინა სტუმრების მეკარე მაყაშვილმა.

● **„კახეთი“ (თელავი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 4:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

თელაველებმა წარმატებას მიაღწიეს ბოლო ტურებში და ამჯერადაც გაიმარჯვეს. მათ მხრივ ბურთები გაიტანეს ცირეკიძემ, აბდულაევმა, მაისურაძემ და მჭედლიძემ, ხოლო სტუმართაგან — ნოზაძემ.

● **„მაღაროელი“ (ჭიათურა) — უნივერსიტეტი (თბილისი) 3:2. მსაჯი ი. რუსიეშვილი (ბათუმი).**

ლიდერმა ძნელ ბრძოლაში მორიგი გამარჯვება ჩაიწერა (გოგოლაძე, ა. სევასტოპულო, მაღრაძე), თბილისელთაგან ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ზარიძემ და ტაბუცაძემ.

● **„განთიადი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი) 1:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).**

არმიელი ხოფერიას მიერ გატანილი ბურთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაქვითა გუგუშვილმა.

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:2. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).**

დაწინაურდნენ სტუდენტები (ივანოვი), მაგრამ შემდგომ კერესელიძემ და ჩოხელმა „ლოკომოტივს“ გამარჯვება მოუტანეს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მაღაროელი“	33	24	6	3	73—20	54
„დინამო“	32	22	7	3	68—40	51
„სალხინო“	31	17	8	6	57—28	42
პოლ. ინსტ.	30	13	10	7	55—32	36
„იმერეთი“	32	14	8	10	46—41	36
„მეშახტე“	33	13	7	13	45—40	33
„ივერია“	34	11	11	12	31—35	33
უნივერსიტ.	29	12	8	9	36—33	32
„კახეთი“	31	11	9	11	36—26	31
„ქართლი“	33	12	7	14	53—55	31
„ეგრისი“	34	10	11	13	42—58	31
„კოლხ.“ ფ.	31	12	6	13	40—33	30
„შუქურა“	34	7	15	12	38—51	29
„ამირანი“	32	10	9	13	28—45	29
„დურუჯი“	32	9	11	12	29—48	29
ფიზკ. ინსტ.	24	10	7	7	39—30	27
ასკ თბ.	31	10	6	15	45—43	26
„ვარძია“	32	8	9	15	36—57	25
„მეტალურგი“	31	8	8	15	27—40	24
„კოლხ.“ ხ.	33	8	7	18	36—60	23
„განთიადი“	30	5	11	14	22—39	21
„ლოკომოტ.“	32	7	7	18	25—53	21

II ჯგუფი

I ზონა

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 7:4, „ქიმიკოსი“ (ახმეტა) — „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) 2:3, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „ფოლადი“ (რუსთავი) 3:4, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „განახლება“ (ადიგენი) 3:4, „განთიადი“ (კასპი) — „არაგვი“ (მცხეთა) 3:3, „მადნეული“ (ბოლნისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:0.

II ზონა

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „ნაკადული (ჩხოროწყუ) 4:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „მზიური“ (გალი) 2:2, „მშენებელი“ (ბათუმი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 3:3, „გიგანტი“ (ლაითური) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:1, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 2:3, „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „დინამო“ (ქუთაისი) 6:2.

ზონალური პირველობა

აღმოსავლეთის ზონა

„შალაური“ (თელავი) — „არგოხი“ (ახმეტა) 0:0, „იორი“ (სართიჭალა) — „ელასტიკი“ (რუსთავი) 0:0, „მეშაქრე“ (აგარა) — „მშენებელი“ (წითელი წყარო) 4:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „შალაური“ (თელავი) 3:1.

[illegible]

განვლილ მატჩებში მეორე გაფრთხილება მიიღეს კ. ჯოჯუამ („ეგრისი“, ცხაკაია), ა. კემულარიამ („კოლხეთი“, ხობი), ვახ. კვიტაიშვილმა („შუქურა“, ქობულეთი).

გაფრთხილებული არიან: ლ. ჯანელიძე („ენერგეტიკოსი“, თერჯოლა), ო. დოლგატოვი („მეშაქრე“, აგარა), გ. სიჭინავა („ნაკადული“, ჩხოროწყუ), რ. დავითაია („ეგრისი“, ცხაკაია).

ა. ჩოგოვაძე

აბესალომ ჩოგოვაძის სახელთან ქუთაისში ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის ბევრი საინტერესო ფურცელია დაკავშირებული. ამ კაცური კაცის ენერგია, თავგანწირვა, პრინციპულობა და კოლეგიალობა მუდამ სამაგალითო იყო.

შრომითი საქმიანობა ადრე (ა. ჩოგოვაძე დაიბადა 1908 წელს სოფელ ბანოჯაში), ჯერ კიდევ გამოუცდელმა ახალგაზრდამ დაიწყო და მერე მთელი ცხოვრება ხალხისა და საქმის უანგარო სამსახურს დაუკავშირა. აბესალომ ჩოგოვაძის ბიოგრაფიის ყოველი ფურცელი ზუსტად მიგვითითებს იმაზე, თუ როგორ ყალიბდებოდა ამ პატიოსანი, მშრომელი ადამიანის ფსიქიკა და როგორ დარჩა იგი სიცოცხლის ბოლომდე ამ პრინციპების ერთგული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში წყალტუბოს გზის მშენებლობის მუშა კომკავშირული საგზურით ქუთაისის სამაზრო პროფბიუროში მიდის სამუშაოდ. ეს იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგდროინდელი რთული პერიოდი, როცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქორ-ვაჭრებსა და კულაკური ელემენტების გადმონაშთებს.

მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ ა. ჩოგოვაძე ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ ინიშნება, მერე კი დიდი სამამულო ომის პირველივე დღიდან ფრონტზე მიდის მოხალისედ.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი აბესალომი მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საყვარელ ასპარეზს — ფიზიკურ კულტურასა და სპორტს უბრუნდება და სიცოცხლის ბოლომდე უნარიანად ემსახურება ამ საქმეს.

ა. ჩოგოვაძეს ბევრი ადამიანური ღირსება ჰქონდა, რაც მას სამუდამოდ აახლოვებდა როგორც გამოუცდელ ახალგაზრდებთან, ისე ცხოვრებაში გამობრძმედილ ვეტერანებთან. დინჯი, სადი აზროვნების უნარი მას საშუალებას აძლევდა ასჯერ გაეზომა ის, რაც ერთხელ უნდა მოეჭრა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უკან აღარ დაიხევდა, იმიტომ, რომ ყოველი დეტალი, ყოველი შესაძლებელი ვარიანტი თავიდან ბოლომდე ჰქონდა ღრმად მოფიქრებული, ძირფესვიანად გააზრებული.

აბესალომ ჩოგოვაძე არავის უნახავს დაღლილი, იმედდაკარგული, დაბნეული. მან რთული ცხოვრებისეული გზა განვლო, დიდი გამოცდილება შეიძინა და მუდამ თავგამოდებით ილვწოდა ხალხის სამსახურში.

ა. ჩოგოვაძე დიდად იყო დაფასებული საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. დიდ სამამულო ომში მას საბრძოლო ჯილდოებით ჰქონდა მკერდი დამშვენებული, მშვიდობიან წლებში ირჩევდნენ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად, სპორტის უანგარო სამსახურისთვის საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიიღო. მას დარჩა გამართული ოჯახი, ერთგული მეგობრები, უღალატო თანამოაზრეები და ამხანაგები.

აბესალომ ჩოგოვაძის სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენთვის, მისი სახელი კი დაუვიწყარია.

ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი;
ქუთაისის „დინამოს“ საქალაქო საბჭო.

თამაში რომ განახლდა...

ფრუნზე, 8 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში 4 ტურის შემდეგ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

ოთხი პარტია თამაშის განუახლებლად დასრულდა: მ. ლისინსკაია (ლვოვი) დანებდა ნ. ტიტორენკოს (მოსკოვი) და ნ. გურიელი (თბილისი) — ლ. შჩერბინას (სევასტოპოლი). ყაიმზე შეთანხმდნენ ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) და ე. ახმილოვსკაია (კრასნოიარსკი). მ. ჩიბურდანიძემ (თბილისი) ახმილოვსკაიას ჩაწერილი სვლა რომ ნახა, თამაში აღარ განაახლა: წაგებას შეურიგდა.

მოსკოველები ლ. ბელავენეცი და ნ. მედიანიკოვა ამაოდ გაისარჯნენ უიმედო პოზიციების გადასარჩენად საუნინასთან და ტ. ფომინასთან (ტალინი) პარტიებში. თ. ბელოვამ (ფსკოვი) მოუგო ტ. ზატულოვსკაიას (მოსკოვი).

სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოველი ე. ფატალიბეკოვა ყაიმს შეურიგდა პარტიებში გურიელთან და ლ. კრისტოლთან (ლენინგრადი). დაზავდნენ, აგრეთვე, ა. გრინფელდი (კალინინგრადი) — გ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი).

4 ტურის შემდეგ ა. გრინფელდს, ტ. ფომინას, ლ. შჩერბინას 3-3 ქულა აქვთ, გ. კოზლოვსკაიას, ლ. საუნინას — 2,5-2,5, ე. ახმილოვსკაიას — 2 (1), ლ. ბელავენეცს, თ. ბელოვას, ნ. მედიანიკოვას, ტ. ზატულოვსკაიას, მ. ჩიბურდანიძესა და გ. სამაგანოვას (ფრუნზე) — 2-2.

დღეს მონაწილენი ისვენებენ.

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

დარჩა 5 ტური

მანილის საერთაშორისო ტურნირის V ტურში ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) დაუზავდა ქ. პფლეგერს (გფრ), ლ. ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია) მოუგო ნორვეგიელ ლ. ოგაარდს.

დაძაბულად მიმდინარეობდა ე. მეკინგ (ბრაზილია) — ბ. ლარსენის (დანია) შეხვედრა. თავიდან ლარსენმა მეტოქის პოზიცია დალაშქრა, მაგრამ მერე შეცდა — მეკინგს მძიმე ფიგურები გააცვლევინა და დაცვის შესაძლებლობაც მისცა. პარტია გადაიდო.

ყაიმზე შეთანხმდნენ ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — ლ. კავალეკი (აშშ) და რ. ბალინასი — ე. ტორე (ორივე — ფილიპინები). გლიგორიჩი IV ტურიდან გადადებულ პარტიაში ლარსენს დანებდა.

VI ტურში პოლუგაევსკი თამაშიდან თავისუფალი იყო, ლიუბოევიჩმა კი პფლეგერს სძლია.

სენსაცია იყო ლარსენის დამარცხება ბალინასთან. პირველი გამარჯვება იზეიმა ოგაარდმა. მან ტორეს მოუგო.

გადაიდო პარტიები: კავალეკი — მეკინგი და ნ. კარაკლაიჩი (იუგოსლავია) — გლიგორიჩი.

6 ტურის შემდეგ ლიუბოევიჩს 4,5 ქულა აქვს, პოლუგაევსკის — 3,5 (5-დან), ბალინასს — 3,5, ლარსენს — 2,5 (1) 5-დან, პფლეგერს — 2,5 (5-დან), ტორეს — 2,5, გლიგორიჩს, მეკინგს — 2-2 (1-1) 5-დან, კავალეკს — 1,5 (2) 5-დან, კარაკლაიჩს — 1,5 (1) 5-დან და ოგაარდს — 1 (5-დან).

სათამაშოა კიდევ ხუთი ტური.

ლამაზი მოგება

ვაჟთა 43-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირის IV ტურში გ. ცეშკოვსკიმ (ომსკი) ლამაზად მოუგო ე. ვასიუკოვს (მოსკოვი). სიცილიურ დაცვაში მოსკოველმა დიდოსტატმა თითქოს პერსპექტიული პოზიცია მიიღო, მაგრამ ცეშკოვსკიმ ხარისხის შეწირვით საიერიშო გზები გახსნა და მეტოქის ფიგურების განლაგებაში შეიჭრა. ვასიუკოვს ზედმეტი ეტლიც ჰქონდა, მაგრამ ფარ-ხმალი მაინც დააყრევინეს. ჩემპიონატის მთავარი მსაჯის, საერთაშორისო არბიტრის გ. გოლდბერგის აზრით, ეს პარტია ლამაზი თამაშისთვის საგანგებო პრიზის კანდიდატია.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: გ. ტიმოშჩენკო (ნოვოსიბირსკი) — ბ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ი. დორფმანი (ჟიტომირი) — ნ. რაშკოვსკი (კურგანი), ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — ი. ივანოვი (დუშანბე), მ. პოდგაეცი (ოდესა) — მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), ვ. სავონი (ხარკოვი) — ქ. გრიგორიანი (მოსკოვი) და ა. პანჩენკო (ჩელიაბინსკი) — ე. გუფელდი (თბილისი). ორი პარტია გადაიდო.

4 ტურის შემდეგ ნ. რაშკოვსკის 3 ქულა აქვს, ბ. გულკოს — 2,5 (1), მ. პოდგაეცს, ე. გუფელდს, ე. ვასიუკოვს, ი. დორფმანს — 2,5-2,5.

ნავსი გატეხეს

როგორც იქნა, თბილისელმა წყალბურთელებმა ნავსი გატეხეს: გუშინწინ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდთან ფრედ დაამთავრეს — 7:7. ამ ქულის მოპოვებით ჩვენებმა ერთი ადგილით წინ წაიწიეს გათამაშების ცხრილში.

სატურნირო ცხრილში თბილისის „დინამოს“ უახლოეს მეზობელს — ალმა-ათის „დინამოს“ ასევე 8 ქულა აქვს და სათამაშო დარჩა მასპინძლებთან — „მეხნატის“ წყალბურთელებთან. ტაშკენტელებსაც 8 ქულა დაუგროვდათ.

თბილისის „დინამოს“ მეტოქე კი იქნება ვოლგოგრადის „სპარტაკი“, რომელსაც 10 შეხვედრის შემდეგ მხოლოდ 5 ქულა აქვს და პირველ ექვსეულში მოხვედრის ყოველგვარი შანსი გაუქრა.

გუშინწინ საღამოს გამართული სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: სსფ ცსს — „დინამო“ (ლვოვი) 8:5, მოსკოვის უნივერსიტეტი — „მეხნატი“ 8:5.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსფ ცსს	10	9	1	0	72—46	19
უნივერსიტეტი	10	8	0	2	57—36	16
„დინამო“ მ.	10	6	3	1	59—48	15
„დინამო“ კ.	10	7	0	3	62—56	14
წკფ	10	5	2	3	45—38	12
„დინამო“ ა.-ა.	10	2	4	4	49—53	8
„დინამო“ თბ.	10	3	2	5	54—60	8
„მეხნატი“	10	3	2	5	46—57	8
„ბურევესტნიკი“	10	2	2	6	37—46	6
„დინამო“ ლ.	10	1	3	6	40—49	5
„სპარტაკი“	10	1	3	6	42—62	5
„ბალტიკა“	10	0	4	6	38—50	4

ვეტერანთა გარბენები

სამი ათასზე მეტმა 80-დან 88 წლის ასაკამდე სირბილის მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა მარათონის ვეტერანთა ჩემპიონატში, რომელიც ტოკიოში ფუძიამის ძირში მდებარე თვალწარმტაც ტბა იამანაკის ნაპირზე გაიმართა.

25-კილომეტრიან მანძილზე უძლიერესი იყო კ. ჰაინცი (გფრ) — 1:10.00.

ჩემპიონატის უხუცესმა მონაწილემ, 88 წლის ტოკიოელმა ბ. სასაკიმ წარმატებით დაფარა 10 კილომეტრი. მორბენალთა ამ ჯგუფში გამოვიდა, აგრეთვე, გრძელ მანძილებზე რბენის ვეტერანთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე, 84 წლის ბ. ლამბერტი.

ტოკიო.

[illegible]

ცხოვრება აფრების ქვეშ...

30 ათასი კილომეტრი გაიარა აფრებით მურმანსკელმა საპატიო სპორტის ოსტატმა ა. იანცელევიჩმა. ეს, როგორც სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, ერთი წლის ცხოვრებაა. თავისი შვერტბოტ „პინგვინით“ მან თორმეტჯერ იმოგზაურა საბჭოთა ქვეყნის მდინარეებზე, ტბებსა და ზღვებზე. ამჟამად იანცელევიჩი მოგზაურობს მარშრუტით: მოსკოვი — არქტიკა — შორეული აღმოსავლეთი — მოსკოვი. მასთან ერთად ცურავს ნორილსკელი მჭედელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. სმეტანკინი.

მართალია, ამჟამად აფრები გასაბერ ნავ „პელიკანზე“ ფრიალებენ, ვინაიდან განთქმული „პინგვინი“, რომელიც გამოსაზამთრებლად ხაბაროვსკის იახტკლუბში იყო დაყენებული, ხანძარმა შთანთქა. მძიმედ განიცადა ანატოლი საველიევის ძემ ეს ცნობა: „ის იყო ჩემთვის ძველი და საიმედო მეგობარი“... მაგრამ იანცელევიჩი არ შეჩერდა ნახევარგზაზე.

სწორედ მაგაზე თქვა ესტონეთის სახალხო მწერალმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ი. სმუულმა: „თუ მე მკითხავენ: დაასახელეთ თქვენს მეზღვაურ მეგობართა შორის ყველაზე რკინისებური, შეუპოვარი, ძლიერი და მიზანსწრაფული ადამიანიო, მე დავასახელებ ანატოლი იანცელევიჩს“.

იანცელევიჩმა თავისი ცხოვრება ზღვას ჯერ კიდევ 30-ან წლებში დაუკავშირა და დღევანდლამდე მისი ერთგული დარჩა. სამი წელიწადი თბომავალ „კამის“ კაპიტანი იყო. მისმა ეკიპაჟმა ამ ხნის განმავლობაში საუკეთესოს სახელი დაიმსახურა. ხუთ წელიწადს „კოოპერაციას“ მეთაურობდა. ამ გემით გაიარა ურთულესი რეისი ანტარქტიკაში, ჩაიბარა ახალი თბომავალი „ვაცლავ ვოროვსკი“, იყო კაპიტან-დამრიგებლად ცნობილ „ობზე“. ამჟამად იანცელევიჩი მეთაურობს „დიმიტროვს“. მან აქაც თავი გამოიჩინა, როგორც ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო ზღვაოსანმა.

დიდი სამამულო ომის წლებში ანატოლი ორ წელზე მეტხანს იბრძოდა მტრის წინააღმდეგ პარტიზანთა რაზმში, დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. მშვიდობიანი შრომის პერიოდში მან „საპატიო ნიშნის“ ორდენი დაიმსახურა. მრავალრიცხოვან ჯილდოებს შორის არის ერთი, რომელიც ასევე ძვირფასია კაპიტნისთვის. ეს არის მშდ-ს ოქროს სამკერდე ნიშანი. მასთან ერთად ეს ნიშანი აქვს „დიმიტროვის“ ათ საუკეთესო ფიზკულტურელს. გემის ყველა დანარჩენი მეზღვაური მშდ-ს ნიშნოსანია.

ახლა „პელიკანი“ მიდის გამოუკვლევ, ძალზე დაკლაკნილ მდინარე ხილოკზე. ამ არაჩვეულებრივად თავთხელ და დატოტვილ მდინარეში მრავლადაა კუნძულები და ჩქერები. აფრებისა და მოტორის გამოყენება უკიდურესად შეზღუდულია. იძულებული ხარ იცურო ნიჩბებით დინების მიმართულებით. ხილოკი ერთვის მდინარე სელენგს, შემდეგ კი ბაიკალია...

სიცოცხლის ერთი წელი ა. იანცელევიჩმა აფრების ქვეშ გაატარა. და ეს საოცარი ცხოვრება გრძელდება...

ვ. ზასუხინი.
(საკდესის კორ.).
მურმანსკი.

რედაქტორი მ. პაპაგაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02946